

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13

2019 წლის 12 აპრილი

ქ. გორი

„გორის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„გორის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №9 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 16/11/2017; 010260000.35.148.016404) დამტკიცებული დებულების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ) სკრის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: სკრა, ბეთლემი, რიეთი, დიდი გორიჯვარი, პატარა გორიჯვარი, კოშკები);“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე

